პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 9 (4519) 13 იანვარი, ხუთშაბათი, 1972 წ. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან






ნავის ძრავა „ტროსტ-ნიჩოკი" (სურათზე) ისე მსუბუქია, რომ ბავშვიც კი იოლად აიღებს ხელში. იგი სულ 5 კილოგრამს იწონის, ორჯერ და მეტად მსუბუქია თავის ბენზინის „თანამოძმეებზე" და მათგან იმით გამოირჩევა, რომ ავტომანქანის აკუმულატორიდან „იკვებება".

„ტროსტნიჩოკი" უხმაუროდ მუშაობს, საექსპლოატაციოდ მარტივია, წყალსაცავს არ აბინძურებს. ნავის სისწრაფე მისი დახმარებით საათში 4,5 კმ-ს აღწევს.

ნავის ამ ახალ ელექტრულ დასაკიდ ძრავას ფსკოვის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა უშვებს.

ა. ოვჩინიკოვის ფოტო.



სსრ კავშირში სამბოს ათეულ ათასობით კაცი მისდევს. ყუბანში სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის ცენტრად ქალაქი მაიკოპი იქცა. ადიღეს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სამბოს სკოლა და სექციები, სადაც 250 კაცი მეცადინეობს. უფროსი მწვრთნელია სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატი ი. კობლევი. წლეულს მან ამ სახეობაში 17 კანდიდატი და სსრ კავშირის სპორტის ოსტატი მოამზადა.

სსრ კავშირის პირად გუნდურ პირველობაში სოფლის სპორტსმენთა შორის მაიკოპში ჩემპიონობა მოიპოვა კობლევის ხუთმა აღსაზრდელმა.

• • •

სურათზე: მწვრთნელი ი. კობლევი საწვრთნელ მეცადინეობაზე დავალებას აძლევს სსრ კავშირის ჩემპიონებს სოფლის სპორტსმენთა შორის ა. სპიროვს და ვ. ნევზოროვს (მარცხნივ).

ე. შულეპოვის ფოტო.

# ჩემპიონატის ოლიმპიური ელფერი

გეტებორგი, 11 იანვარი. დღეს აქ, სპორტის სასახლე „სკანდინავიუმის" ყინულზე სტარტი აიღო კონტინენტის ჩემპიონატმა ფიგურულ ციგურაობაში. ასპარეზობამ 18 ქვეყნის თითქმის 90 სპორტსმენს მოუყარა თავი.

ერთეულ ვაჟთა შეჯიბრების მონაწილეებს უკვე დილიდანვე ყულმოდგინედ გამოჰყავდათ ყინულზე სავალდებულო პროგრამის ხუთი პირველი ფიგურა. ლიდერობა ხელთ იგდო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ო. ნეპელამ, რომელმაც 497,7 ქულა მოაგროვა. მეორეა სსრ კავშირის ჩემპიონი ს. ჩეტვერუხინი, რომელიც ფიგურიდან ფიგურამდე აუმჯობესებს შედეგებს. მას ახლა 477,1 ქულა აქვს. შემდეგ მოდის ფრანგი პ. პერა — 476,4.

სტარტი კარგად აიღო ამ შეჯიბრების დებიუტანტმა, მოსკოველმა ვ. კოვალიოვმაც. მას ჯერჯერობით მეოთხე შედეგი აქვს — 456,5. ლენინგრადელი ი. ოვჩინიკოვი XII ადგილზეა — 442,1.

შვეციელი სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელიან წყვილთა შეჯიბრებას, რომლებიც დღევანდელ საღამოს ასევე სავალდებულო პროგრამას მიუძღვნიან. კოპენჰაგენის დროს, ისევე როგორც ლიონის შარშანდელ მსოფლიო პირველობაში, საბჭოთა კავშირის საუკეთესო წყვილს — როდნინასა და ულანოვს პირველი ნომერი ხვდათ. ყინულზე მე-7 ნომრით გამოვლენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, მე 10 ნომრით — დებიუტანტები, მოსკოველები ი. ჩერნიაევა და ვ. ბლაგოვი.

... 19.45

◆ ოსლო, 12 იანვარი. 25-კილომეტრიანი რბოლა, რომელშიც გამოდიოდნენ ნორვეგიის უძლიერესი მოთხილამურეები, მოიგო მ. მიურიომ — 1:12.28. მხოლოდ მე-6 ადგილი დაიკავა გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა 15-კილომეტრიან დისტანციაზე ჰ. გრიონინგენმა — 1:14.18.

◆ მაგდებურგი, 12 იანვარი. გდრ-ის ამ ქალაქის სპორტულ დარბაზში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში დ. ეკჰარდმა დაძლია 215 სმ-ზე გადებული თამასა.

◆ გრენობლი, 12 იანვარი. 24 ქვეყნის 400 მძლეოსანი გამოვა ამ ქალაქის სპორტის სასახლის სარბიელზე გამართულ ევროპულ ჩემპიონატში. ასპარეზობა ორ დღეს (12-13 მარტი) გასტანს.

◆ მალმე, 12 იანვარი. შვეციის მოთხილამურეთა ოლიმპიადის წინა შეჯიბრებაში 15-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ს.-ო. ლინდბერგმა — 51.51.

◆ კორტინა დ'ამპეცო, 12 იანვარი. საბჭოთა მოციგურავე გ. მურატოვიან 500 მ დისტანციაზე მარცხის შემდეგ, დასავლეთგერმანელმა ე. კელერმა რევანში აიღო კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობაში. მან 0,03 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ მურატოვს — 1.19,55.

◆ საპორო, 12 იანვარი. დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური სოფელი. ოლიმპიური ჰიმნის ხმაზე ფლაგშტოკებზე აფრიალდა თამაშებში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ალმები. სადღესასწაულო ცერემონიალს ესწრებოდა 700 სტუმარი. ოლიმპიური სოფლის პირველი სტუმრები იყვნენ კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის სპორტსმენები. საბჭოთა სპორტსმენების პირველი ჯგუფი საპოროს ეწვევა 20 იანვრის შემდეგ. აქ დიდი ინტერესით მოელიან საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლას. ადგილობრივი გაზეთი „ხოკაიდო სიმბუნმა" მოათავსა ვრცელი წერილი ჩვენს მოთხილამურეებზე გ. კულაკოვსა და ფ. სიმაშოვზე. აგრეთვე, ტრამპლინიდან მხტომელ გ. ნაპალკოვსა და სხვებზე. იბეჭდება წერილები საბჭოთა ჰოკეისტებზე, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ იაპონიაში.

... 19.45









ოლიმპიური ცეცხლი ტოკიოს სტადიონზე (ზედა სურათი). აქედან დაიწყო ჩირაღდნის ესტაფეტა იაპონიის კუნძულებზე საპოროსკენ — XI „თეთრი ოლიმპიადის" ქალაქისკენ.

ოლიმპიადის ქალაქის ყველა სპორტული ნაგებობა მზადაა შეჯიბრების დაწყებისთვის.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ თხილამურებით სწრაფდაშვების ტრასას „ენივადაკეს", ლია სარბიელს ციგურაობით სწრაფრბენაში შეჯიბრებისთვის, 90-მეტრიან ტრამპლინს „ოკურაიამას".

კიოდო—საკდესის ფოტო. „კომსომოლსკაია პრავდა" № 9.

● მოსკოვი, 11 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონი, ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი, მოსკოველი ლ. ტიტოვა, ტ. სერიოგინა (ლენინგრადი), ვ. კრასნოვა (ომსკი), ლ. სავრულინა (სვერდლოვსკი), ვ. სუროვიკინა (მოსკოვი) გამოვლენ 15-16 იანვარს ინცელში (გფრ), სადაც ტარდება ევროპის ჩემპიონატი ციგურაობაში (ერთ-ერთი სპორტსმენი სათადარიგო იქნება). ასეთ შეჯიბრებათა დებიუტანტი იქნება სავრულინა, რომელმაც სტატკევიჩის შემდეგ II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, ალმა-ათაში. ერთი კვირის შემდეგ შვეიცარიის ქალაქ დავოსში მოეწყობა ევროპის ჩემპიონატი საციგურაო სპორტში ვაჟთა შორის საბჭოთა სპორტსმენებიდან ამ შეჯიბრებაში გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი სტუდენტი ვ. ლავრუშკინი და ალმაათელი ვ. ტროიცკი.

● ჩერნიგოვი, 11 იანვარი. აქ მიმდინარე იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში ჭადრაკში ლიდერთა შორის ვხედავთ ბათუმელ მოსწავლე გოგონას ნ. ფურმანს, რომელსაც ლ. ბენენსონაიტესთან (ლიტვა), ტ. ვორონოვასთან (არხანგელსკი) და ტ. ვილერტესთან ერთად 3,5 ქულა აქვს. 4,5 ქულით ლიდერობს ნ. გასიუნასი (ჟიტომირი).

● კლადნო, 11 იანვარი. ჩეხოსლოვაკიაში ბოლო მატჩი გამართეს ვოსკრესენსკის „ხიმიკის" ჰოკეისტებმა და დაამარცხეს ადგილობრივი სონპი — 5:4.

● მოსკოვი, 11 იანვარი. ჩოგბურთელთა ლია ჩემპიონატში ბევრი ცნობილი სპორტსმენი მონაწილეობს. მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანის ს. მირზას გამოსვლამ. მან ახალგაზრდული შემართებით დაიწყო შეჯიბრება და დაამარცხა სსრ კავშირის უძლიერესი ათეულის წარმომადგენელი ჰ. სეპი. ყურადღებას იქცევს 16 წლის კ. ბუგაეგი, რომელიც საკმაოდ მომწიფებულ ოსტატად მოგვევლინა. ქალთა შორის პირველი შეხვედრები მოიგეს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ა. დმიტრიევამ, ე. იზოპაიტისმა, თ. გრანატუროვამ და სხვებმა. შეჯიბრება კვირას დასრულდება.

● გეტებორგი, 11 იანვარი. აქ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში, წყვილთა სრიალში წინ არიან საბჭოთა წყვილები — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ი. როდნინა — ა. ულანოვი და ლ. სმირნოვა — ა. სურაიკინი. სპორტულ ცეკვებშიც ლიდერობა ხელთ იგდეს მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონებმა ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა.

● კორტინა დ'ამპეცო, 11 იანვარი. მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავად გამოვიდა კოლომნელი ვ. მურატოვი, რომელმაც 500-მეტრზე რბენაში 38,65 აჩვენა და უკან მოიტოვა ბევრი ცნობილი სპორტსმენი, მათ შორის მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ამ მანძილზე რბენაში ე. კელერი (გფრ).

ჭიდაობა

# ოლიმპიადისთვის ემზადებიან



Müncհen-72

საბჭოთა მოჭიდავეებისთვის გასული სპორტული სეზონი ერთობ ბარაქიანი გამოდგა. ჯერ მარტო სოფიის მსოფლიო ჩემპიონატისა და სხვა დიდ საერთაშორისო ტურნირებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორივე სტილის მოჭიდავეებმა 13 მედალი ჩამოიტანეს, რომელთაგან 9 ოქროსი იყო. ეს დიდი წარმატება ოლიმპიური სეზონის წინ იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიუნჰენში არ გამეორდება მეხიკოს მწარე მაგალითი. როგორც ცნობილია, XIX ოლიმპიურ თამაშებში ჩვენმა კლასიკოსებმა მხოლოდ 1 ოქროს მედალი მიიღეს ქვემსუბუქ წონაში (რ. რურუა) და 2 (ბ. გურევიჩი, ა. მედვედი) კლასიკურში.

1972 წლის სპორტულ სეზონს, რომელიც მიუნჰენის ოლიმპიადისთვის მზადების ნიშნით ჩატარდება, მოჭიდავეები გახსნიან ახალი საერთაშორისო ტურნირით — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აწ განსვენებული პრეზიდენტის როჟე კულონის მემორიალით. მსოფლიოს ამ თავისებურ მცირე ჩემპიონატს პრეზიდენტის სამშობლო საფრანგეთი უმასპინძლებს (21-23 იანვარს). მათთვის, ვისაც სურს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრა და შემდეგ მიუნჰენში გამგზავრება, კულონის მემორიალი პირველი სერიოზული გამოცდა იქნება.

კლასიკური სტილის მოჭიდავეებს იანვარში კიდევ ორი პასუხსაგები გამოცდა ელით. შვეციაში ჩატარდება „კლიპანის თასის" გათამაშება (28-30 იანვარი), იმავე პერიოდში თბილისში სტარტს აიღებს ჯივი კარტოზიას თასის გათამაშება. ტურნირში, რომელიც გამოჩენილი ქართველი მოჭიდავის სახელთანაა დაკავშირებული, ბევრ უცხოელ ათლეტს ელიან. შემდეგ „კლასიკოსები" თითქმის მთელ თვეს დაისვენებენ, მოიკრებენ ძალებს, რათა კვლავ შეხვდნენ გერმანეთს სარბიელზე, ამჯერად უკვე ი. პოდდუბნის მემორიალში. ეს ასპარეზობა გაიმართება მინსკში 2-5 მარტს.

როჟე კულონის მემორიალის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები თბილისში შეიკრიბებიან კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი ფალავნის ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასზე მონაწილეობის მისაღებად. ტურნირზე, რომელიც 4-6 თებერვალს ჩატარდება, მოელიან ბულგარეთის, იაპონიის, ირანის, თურქეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მოწინავე ათლეტებს.

მაგრამ ოლიმპიადისწინა სეზონი მხოლოდ ამ შეჯიბრებებით როდი ამოიწურება. ზამთრის მიწურულს და გაზაფხულზე დაგეგმილია რამდენიმე საზღვარგარეთული ტურნე ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მოეწყობა სამატჩო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთანაც.

ოლიმპიური მზადების პირველი ციკლი დასრულდება კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ჩემპიონატებით, რომელსაც უმასპინძლებს პოლონეთის ქალაქი კატოვიცე 24-30 აპრილს.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდების საბოლოო შემადგენლობა საკავშირო ჩემპიონატებში დაზუსტდება. თავისუფალი სტილის ათლეტები ოქროს მედლებს გაითამაშებენ მინსკში 8-11 ივნისს, „კლასიკოსები" ულიანოვსკში — 4-7 მაისს.

დაბოლოს, ძიუდოისტთა შესახებ. საბჭოთა სპორტსმენები ახალ, 1972 წელს პირველად საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ (15-17 იანვარი). მერე ევროპისა და აზიის უძლიერესი ათლეტები, რომელთა შორის იქნებიან ძიუდოს ფუძემდებლები — იაპონელებიც, თავს მოიყრიან თბილისში, სადაც 12-13 თებერვალს ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებაა დანიშნული.

ჭაბუკებსა და იუნიორებს 11-12 მარტს ლენინგრადში ევროპის ჩემპიონატი მოელით, მოზრდილები კი კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს ჰოლანდიაში გაითამაშებენ. ეს ასპარეზობა 11-14 მაისს შედგება. ოლიმპიური სამზადისის ბოლო ეტაპი იქნება ძიუდოისტთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ივნისის დამდეგისთვისაა დაგეგმილი.



ს უ რ ა თ ზ ე: გ. ონაშვილის (მარცხნივ) და ნ. ექვთიმიშვილის ნახევარფინალური ბრძოლის მომენტი.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. აბრამიანის ფოტო.

## [illegible]

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გასული წლის ბოლოს ტალინში ჩატარდა ძიუდოისტთა II საკავშირო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა გ. ონაშვილმა და გ. თანდელოვმა. პირველმა გაიმარჯვა მძიმე, მეორემ კი აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც შევიდნენ ა. მარტყოფლიშვილი და შ. ფიცხელაური (63 კგ), გ. გოგოლაური და რ. ხარშილაძე (80 კგ), შ. ჩოჩიშვილი (93 კგ), გ. ონაშვილი და ნ. ექვთიმიშვილი (მძიმე).

გთავაზობთ ტურნირის პრიზიორთა სიას.

63 კგ. 1. კოზაცკი (კიევი), 2. გერასიმოვი (სარატოვი), 3. კიულენინი (ლენინგრადი) და ივშინი (ჩელიაბინსკი).

70 კგ. ს. კოლპაკოვი (სვერდლოვსკი), 2. ნატალენკო (ლენინგრადი), 3. რუდმანი (მოსკოვი) და დვოინიკოვი (ჩელიაბინსკი).

80 კგ. ს. ციუპაჩენკო (მოსკოვი), 2. შარკანსკი (კიშინიოვი), 3. ხარშილაძე (თბილისი) და გერასიმოვი (ლენინგრადი).

93 კგ. 1. პოკატაევი (ლენინგრადი), 2. სოლოდუხინი (მოსკოვი), 3. კარდოპოლოვი (პერმი) და მალენკინი (ლენინგრადი).

მძიმე. 1. ონაშვილი (თბილისი), 2. საუნინი (კიევი), 3. ექვთიმიშვილი (გორი) და უსიკი (კიშინიოვი).

აბსოლუტური. 1. თანდელოვი (გორი), 2. კაზაჩენკოვი (მოსკოვი), 3. ნიჟარაძე და მუზაევი (ორივე — თბილისი).

გუნდური პირველობა საყრდენ პუნქტებს შორის თბილისელებმა მოიპოვეს. მათ დააგროვეს 17,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს გორმა და მოსკოვმა — 13,5 ქულა თითოეულმა.

სპორტსაზოგადოებათა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. შეიარაღებული ძალები — 62,5 ქულა, 2. „დინამო" — 32, 3. „ბურევესტნიკი" — 13,5. წარმატებას მიაღწიეს საქართველოს „კოლმეურნის" ათლეტებმა. მათ IV გუნდური ადგილი ერგოთ.

## ნაკრების 12 კანდიდატი

მოსკოვში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა პირადი საკავშირო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. 75 კგ წონითს კატეგორიაში I ადგილი დაისაკუთრა ჯ. ცოფურიშვილმა (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. ზუკაკიშვილი). II ადგილები მოიპოვეს: ნ. ელიბაშვილმა (85 კგ), გ. დელიძაშვილმა (65 კგ) და მ. ჭიკაიძემ (მძიმე), III ადგილები კი ო. ყურაშვილმა (85), ტ. სიდამონიძემ და დ. ხაბულიანმა (ორივე — 75 კგ).

შედგა ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო ნაკრები გუნდები. ჭაბუკთა ნაკრებში მოხვდა ყველა ზემოჩამოთვლილი პრიზიორი. იუნიორთა გუნდში ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილია შემდეგი მოჭიდავეებით: ნ. სალთხუციშვილი, ტ. ცინცაძე, ჯ. კბილაშვილი, გ. ქამხაძე (ყველა — თბილისის უნივერსიტეტი), ა. ბარკალაევი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

როგორც ხედავთ, ჭაბუკთა და იუნიორთა ნაკრებ კოლექტივებში სულ 12 ძიუდოისტია საქართველოდან. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან „კოლმეურნის", „სპარტაკისა" და „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელები, რომლებიც ქმედით დახმარებას უწევენ მწვრთნელებს, სპორტსმენებს და მთელი გულისყურით იბრძვიან სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის. ქებას იმსახურებს ახალგაზრდა სპარტაკელი მწვრთნელის ო. გულისაშვილის საქმიანობა. მას, მართალია, არ აქვს პედაგოგიური მუშაობის დიდი სტაჟი, მაგრამ უკვე აღზარდა სსრ კავშირის ნაკრების 3 წევრი.

## ორ სახეობაში

„შრომითი რეზერვების" ახალ კეთილმოწყობილ საჭიდაო დარბაზში ამას წინათ ჩატარდა საზოგადოების ღია პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობა გაზეთ „კომუნისტის" 50 წლისთავს მიეძღვნა. ორთავე სახეობაში ძალას ცდიდა 200-ზე მეტი ათლეტი. აქ იყვნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკისა" და „განთიადის" მოჭიდავეებიც.

პირველად ასპარეზობაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ჩაებნენ. გამარჯვება ყველა წონით კატეგორიაში „შრომითი რეზერვების" მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს: გ. შალიკაშვილმა, გ. ქელეხსაევმა, დ. უბილავამ, ი. ლეგაშვილმა, ვ. ბალხაშიშვილმა, გ. ხარებავამ, ა. თამაზიშვილმა, ი. ბათქუაშვილმა.

კლასიკოსთა ტურნირს ავტორიტეტი შემატა ჭაბუკთა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონის თ. კიკნაძის მონაწილეობამ. მან თავის წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და, რა თქმა უნდა, პირველი ადგილიც დაისაკუთრა. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს აგრეთვე ახალგაზრდა პერსპექტიულმა სპორტსმენებმა — სპარტაკელმა გ. ბადრიძემ და დინამოელმა გ. დონდუზაშვილმა.

კლასიკოსთა შორის პირველი ადგილები დაისაკუთრეს: ტ. ბუდაგოვმა, მ. ხოტიევმა (ორივე — „შრომითი რეზერვები"), ზ. ხუბაშვილმა (გლდანის სკოლა-ინტერნატი), ა. აფრიამაშვილმა („ბურევესტნიკი"), გ. ყიფიანმა („შრომითი რეზერვები"), ი. მელქაძემ („დინამო"), თ. კიკნაძემ („შრომითი რეზერვები"), ნ. ბაბიაშვილმა („ბურევესტნიკი") და თ. სუხიაშვილმა („შრომითი რეზერვები").

შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად, რაც საზოგადოების ხელმძღვანელთა პირადი დამსახურებაა. და მაინც, ერთი დასანანი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ. ჭიდაობის ორივე სახეობაში არ გათამაშდა პირველობა მძიმეწონოსანთა შორის. ნუთუ სპორტსაზოგადოებებს არა ჰყავთ თუნდაც თითო მოჭიდავე ამ წონაში?

ვ. ქობელაშვილი.

## სარბიელზე — იუნიორები

ამას წინათ თბილისში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს იუნიორთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალის, კასპის, საგარეჯოს, ვანისა და მაიაკოვსკის 70-მდე ათლეტი.

ყველაზე მეტი მონაწილე — 16 სპორტსმენი პირველ ქვესაშუალო წონაში იბრძოდა. კარგად გაართვა თავი სირთულეებს თბილისელმა ზ. ჯაფარიძემ, რომელმაც მოიგო ყველა შეხვედრა და I ადგილიც დაისაკუთრა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. შოშიაშვილმა (საგარეჯო), ვ. ქუმარიტოვმა (ცხინვალი), დ. ლაფაჩიშვილმა (საგარეჯო), დ. ბიჭაშვილმა, ზ. ჯაფარიძემ, თ. მარსაგიშვილმა, შ. ახვლედოვმა (ყველა — თბილისი), პ. თედიაშვილმა (საგარეჯო), ა. სტურუამ (თბილისი). ქვემძიმე წონაში პირველობა არ გათამაშდა.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული მოჭიდავეები, რომელთაგან დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი. იგი თებერვლის პირველ რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს „სპარტაკის" საკავშირო პირველობაში, რომელიც კუიბიშევში მოეწყობა.

თ. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

## უჩვეულო ესტაფეტები

ბაკურიანი, 12 იანვარი (ტელეფონით). სათხილამურო სპორტში „ბაკურიანის თასის" გათამაშებამდე აქვე მოეწყო ტურნირი სსრ კავშირის პროფკავშირების თასისთვის. შეჯიბრების პროგრამაში ესტაფეტები შედიოდა, ოღონდ დისტანცია უჩვეულო იყო ქალები 3×3, ხოლო ვაჟები 4×6 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტარტზე, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოვიდა, რომლებიც თავიანთი საზოგადოებებისა თუ უწყებების ინტერესებს იცავდნენ.

შედგა ბევრი შესანიშნავი ტრიო და კვარტეტი. მაგალითად, „ტრუდის" ქალთა გუნდში ისეთი ცნობილი ოსტატები გამოდიოდნენ, როგორიც მსოფლიო ჩემპიონები გ. კულაკოვა, ნ. ფიოდოროვა, აგრეთვე, ლ. მუხაჩევა არიან. ვაჟთა შორის სარბიელზე ვიხილეთ საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები ს. ვალიულინი და ბ. გიზატულინი („ტრუდი"), ვ. ტარაკანოვი, ვ. დოლგანოვი, ვ. ვორონკოვი, ა. აკენტიევი (შეიარაღებული ძალები) და სხვები.

გამარჯვებისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. ვაჟთა ესტაფეტაში თავიდანვე „ტრუდი" და არმიელები დაწინაურდნენ. ეტაპი არმიელმა ტარაკანოვმა მოიგო: მან თანაგუნდელს ესტაფეტა წამით ადრე გადასცა, მაგრამ დოლგანოვმა ტარაკანოვის მონაპოვარი ი. პრონინთან („ტრუდი") ბრძოლაში ვერ შეინარჩუნა და ეტაპი მასზე 2 წამით გვიან დაამთავრა.

მესამე ეტაპზე არმიელებმა აკენტიევი, „ტრუდმა" კი ახალგაზრდა ნ. ანტონენკო გამოიყვანეს. აქ გამოცდილებამ იმარჯვა — აკენტიევი ანტონენკოს დიდხანს ფეხდაფეხ მისდევდა და გასწრებას არ ცდილობდა, მაგრამ, როცა ეტაპის ფინიში მოახლოვდა, ტემპს ერთბაშად უმატა და გუნდი საგრძნობლად დააწინაურა.

ბოლო ეტაპზე არმიელებს უკვე 20 წამის უპირატესობა ჰქონდათ. ეს ვორონკოვს ამოცანას უადვილებდა. საბოლოოდ, თასი არმიელებმა მოიპოვეს, მაგრამ ისინი მარცხს შემთხვევით გადაურჩნენ. სპარტაკელმა ი. სკობოვმა, რომელმაც ბოლო ეტაპზე თანაგუნდელებისგან ესტაფეტა მესამემ მიიღო და არმიელებთან ნახევარ წუთზე მეტს აგებდა, თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან გაუსწრო ტრუდელ გიზატულინს და ბოლო კილომეტრზე ვორონკოვსაც წამოეწია, მაგრამ დარჩენილი მანძილი მეტოქის ჩამოტოვებისთვის მოკლე აღმოჩნდა.

საბოლოოდ ვაჟთა ესტაფეტაში გამარჯვება არმიელებმა დაისაკუთრეს — 1:18.30. „სპარტაკის" შედეგია — 1:18.35, „ტრუდისა" — 1:19.07.

ქალთა ესტაფეტაში „ტრუდს" ბადალი არ ჰყავდა. იგი თავიდანვე დაწინაურდა. საბოლოოდ 9 კილომეტრის გარბენას „ტრუდის" ტრიომ 32.58,0 წუთი მოანდომა და 51 წამი მოუგო „ბურევესტნიკის" I გუნდს, რომელსაც „დინამოს" I კოლექტივი 13 წამით ჩამორჩა. „დინამო" III ადგილს დასჯერდა.

ნ. ფანჯაკიძე.

თხილამურები

## [illegible]

→ ზესტაფონი

განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირადი პირველობა სიმაღლეზე ხტომაში. გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა ზესტაფონის მე-4 სკოლის მოსწავლე ნ. ჭუმბაძემ — 136 სმ. ვაჟთა შორის იმარჯვა თ. ცხადაძემ (მე-2 საშუალო სკოლა) — 165. გამარჯვებულებს და მათ მწვრთნელებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

ა. განუგრავა.



# ფარიკაობა — ჩემი სიყვარული



## ნუგზარ ასათიანი



რ. ცირეკიძე.

1957 წელს ვოროშილოვგრადში გამართულ საკავშირო ჩემპიონატს წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით ხელი უნდა შეეწყო ჩემი დაოსტატებისთვის. ეს იყო მთავარი მიზანი. მაგრამ ვინ არ ფიქრობს გამარჯვებაზე. არაფერი დამიკლია ამ მიზნის მისაღწევად, ვიბრძოდი როგორც შემეძლო. მაგრამ მე ჯერ კიდევ ახლად გაკვალულ გზას ვადექი და უკანასკნელ ხანებში ნასწავლ ხერხებს ვამოწმებდი. და რა მოხდა? პირველივე წრეში გამოვეთიშე შეჯიბრებას. საბედნიეროდ, ასეთი წარუმატებლობისთვის წინასწარ ვიყავი მომზადებული და ამიტომ გული მაინცდამაინც არ გამტეხია. წინ ხომ კიდევ მრავალი შეჯიბრება მელოდა.

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატი ღირსსახსოვარი ეტაპია ქართული ფარიკაობის ისტორიაში. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა თავიანთი სიტყვა თქვეს. ბადალი არ ჰყავდა დაშნით მოფარიკავე რევაზ ცირეკიძეს, კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა რაპირისტი იური ოსიპოვი. ფინალურ შეჯიბრებაში ერთდროულად გაიკვლია გზა ქართველ მუშკეტერთა რაზმმა: ესპადრონისტთა შორის სახვაძემ, დაშნით მოფარიკავეებმა გურამ კოსტავამ და მურმან ასათიანმა. სწორედ მაშინ დაიწყო ლაპარაკი ფარიკაობის ქართულ სკოლაზე.

დიდი იყო ჩვენი სიხარული. ის ჩემპიონატი ახლა უკვე ფარიკაობის ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ დღესაც სიამაყით ვიგონებთ ჩვენი ეროვნული ფარიკაობის მაშინდელ ტრიუმფს. აი, რევაზ ცირეკიძე ამთავრებს უკანასკნელ ფინალურ ბრძოლას, მუზარადს იხსნის და აღფრთოვანებული შლის ხელებს. რა ამბავი ხდებოდა მაშინ საფარიკაო ბილიკზე! ამაოდ გვთხოვდნენ მსაჯები დაგვეტოვებინა სარბიელი. საქართველოს წარგზავნილებმა ხელში ავიტაცეთ გოლიათური აღნაგობის ჩემპიონი და დიდხანს სიყვარულით ვაბურთავეთ.

რეზო ცირეკიძე უნიკალური მოვლენა იყო ფარიკაობაში. მან მეტეორივით გაიელვა ქართული ფარიკაობის ცის კაბადონზე, თავისი მძლავრი მხრებითა და ხელებით რამდენიმე წლის მანძილზე ღირსეულად ზიდა დიდი სპორტსმენის ტვირთი. ეს ტვირთი მას არ ამძიმებდა, რადგან ფარიკაობისთვის იყო დაბადებული. რეზომ პირველმა საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთაგან დალაშქრა მსოფლიო ფარიკაობის უცნობი ბილიკები, ბრწყინვალედ იასპარეზა უდიდეს საერთაშორისო ასპარეზობებში და „რკინის ქართველის“ სახელი დაიმკვიდრა. საფარიკაო ბილიკზე ჰგავდა ლომს, რომელსაც თვალშეუვლები მოძრაობა აქვს. როგორც ყველა ჭეშმარიტ ტალანტს, ცირეკიძეს ბევრი შეგონება და სწავლება არ სჭირდებოდა. ელვის სისწრაფით ითვისებდა ფარიკაობის ურთულეს ხერხებს. დიდი ფიზიკური ძალა საშუალებას აძლევდა ყოველი ტექნიკური ილეთი დამაჯერებლად განეხორციელებინა. მისი სტიქია იერიში იყო, დაცვა ნაკლებად უყვარდა და ამიტომაც იერიშზე წამოსულ მეტოქეს შავ დღეს აყრიდა. გადამეტებული ემოციები ხანდახან ცუდ სამსახურს უწევდა და ზოგჯერ აშკარად სუსტ მოწინააღმდეგესაც უთმობდა გამარჯვებას. მაგრამ ის ასეთი იყო და ასეთი დარჩა ბოლომდე.

არასოდეს დამავიწყდება რეზოს შეხვედრა ვილნიუსელ იოზას უდრასთან. იოზასს „მელას“ ეძახდნენ. მას უნაკლო ტაქტიკური აზროვნება ჰქონდა, მოწინააღმდეგეს ყოველი შეცდომისთვის დაუყოვნებლივ სჯიდა. სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. აზარტულ, ტემპერამენტიან ცირეკიძეს უჭირდა უდრასის „ტაქტიკური ყინულის“ გალღობა. ლიტველ სპორტსმენს რევაზთან აქტიური სპორტული ბალანსი ჰქონდა.

როცა ვოროშილოვგრადის სარბიელზე ორი გამოჩენილი სპორტსმენი პირისპირ დადგა, ფსიქოლოგიური უპირატესობა აშკარად იოზას უდრასის მხარეზე იყო. მახსოვს რევაზის აღელვებული, გაფითრებული სახე. ჩვენ ვცდილობდით გაგვემხნევებინა. ეს იყო დიდი ბრძოლა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ჩემპიონატს დაამშვენებდა. მაყურებელი ამ ორთაბრძოლას აღიქვამდა, როგორც ორი ძლიერი პიროვნების შეურიგებელ პაექრობას, განსხვავებული ხასიათების სპორტულ კონფლიქტს.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 6, 7.

უშედავათო ბრძოლა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო დაშნით მოფარიკავე უნდა დაესახელებინა, თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა, ასპარეზობის პროცესმა დაღალა მეტოქენი. არანაკლებად დაიღალნენ მაყურებლები, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები. ბრძოლამ თავის აპოგეას მიაღწია, როცა ტაბლოზე აინთო ციფრები 4:4. ვფიქრობ, ეს ანგარიში შეესატყვისებოდა ძალთა თანაფარდობას. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა სპორტსმენთა ნებისყოფას. ახლაც არ ვიცი, სად იპოვა გადამწყვეტი ჩხვლეტის მისაყენებლად საჭირო ძალა ქართველმა მუშკეტერმა. ოსტატობისა და ნებისყოფის მაქსიმალური მობილიზაცია, თვალშეუვლები იერიში, ულამაზესი ვარდნა წინ, და ცირეკიძის დაშნა პოულობს გზას მეტოქის მკერდისკენ.

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატში რეზო ერთ-ერთი პოპულარული მოფარიკავე იყო. მეგობრის სპორტულ დიდებას იზიარებდა იური ოსიპოვი. ამ ჭროღათვალებიანმა, რაინდული სულის მქონე სპორტსმენმა ყველას შეაყვარა თავი. ვოროშილოვგრადის ჩემპიონატში სრული ძალით კაშკაშებდა მისი თვითმყოფადი ნიჭი. ბრძოლებს მოხდენილად, ეფექტურად იგებდა, ფინალშიც ადვილად გავიდა. აქ იგი შეხვდა სახელგანთქმულ მოფარიკავეებს: მიდლერს, კოლესნიკოვს, ურალოვსა და სხვებს. ამათგან ყველაზე დიდი სახელი ჰქონდა მოსკოველ მარკ მიდლერს. მას სამართლიანად მიიჩნევენ საბჭოთა ფარიკაობის ერთ-ერთ კორიფედ.

მიდლერთან ბრძოლა ყველას უჭირდა. საფარიკაო ბილიკზე იგი სასწაულებს ჩადიოდა. მისი ყოველი მოძრაობა მკაცრად გამოზომილი იყო. ბრძოლის დროს ერთ ზედმეტ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, არც აღელდებოდა. ასე იზოგავდა ეს საოცარი კაცი ფიზიკურ და ნერვულ ენერგიას. ამიტომაც იყო, რომ მიდლერის ფიზიკური და მორალური პოტენციალი ამოუწურავი გვეჩვენებოდა. ფარიკაობა მარკმა თავისებურ მეცნიერებად აქცია ალქიმიკოსის მსგავსად, იგი კრებდა მონაცემებს მომავალი მეტოქეების შესახებ. გულდასმით ადევნებდა თვალს, მათ ბრძოლებს და, როცა ბილიკზე გამოდიოდა, შეხვედრის „სცენარიც“ მზად ჰქონდა. მაგრამ სპორტი გაუთვალისწინებელი მოულოდნელობებით არის აღსავსე. სიტუაციის მიხედვით მიდლერს სათანადო კორექტივები შეჰქონდა ბრძოლის პროცესში და „ურჩ“ მეტოქეს ახალ-ახალ გამოცანებს სთავაზობდა. ეს გამოცანები მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელმა მოფარიკავეებმა ამოხსნეს.

მისი სპორტული მიღწევები პირდაპირ განსაცვიფრებელია. მიდლერი მონაწილე იყო ოთხი ოლიმპიადისა, რითაც თავისებური რეკორდი დაამყარა. 1952 წლიდან 1968 წლამდე მარკი საბჭოთა რაპირისტების ლიდერი იყო. ახლაც არ ვიცი, რატომ დაანება მიდლერმა ფარიკაობას თავი, თუმცა იმ დროისთვის 40 წლისა გახლდათ.

ერთი სიამოვნება იყო მასთან საუბარი. უაღრესად განათლებული, ერუდირებული ადამიანი მოფარიკავეთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ცალკე უნდა მოგახსენოთ როგორ ვარჯიშობდა მიდლერი. ჩვენ წლების განმავლობაში ერთად გამოვდიოდით საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და ხშირად ვაკვირდებოდი მის წვრთნას. ვარჯიშის დროს იგი ისეთივე რჩებოდა, როგორიც შეჯიბრებისას. არც ერთი ზედმეტი ნაბიჯი, ყველაფერი სრულდებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. სიგარეტი და სასმელი მისთვის არ არსებობდა. იძინებდა და იღვიძებდა ზუსტად ერთ დროს. მხიარულება უყვარდა, მაგრამ ზედმეტს არც აქ გააკეთებდა რამეს. მისი ჰობი იყო წიგნები. სპეციალური ლიტერატურიდან კითხულობდა ფსიქოლოგიურ ნაშრომებს. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ სერიოზულად მოჰკიდა ფსიქოლოგიას ხელი და დავით ტიშლერთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი „მოფარიკავის ფსიქოლოგიური მომზადება“.

აი, როგორ გამობრძმედილ, ერუდირებულ სპორტსმენთან ჰქონდა საქმე ვოროშილოვგრადის ჩემპიონატის ფინალში იური ოსიპოვს. ამას დაემატა კიდევ ფინალის ჩატარების წრიული სისტემა. ეს გამორიცხავს თითქმის ყოველგვარ მოულოდნელობას. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე ძლიერია. დაძაბულ შეხვედრებში მიდლერი ორჯერ დამარცხდა.

იურის მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა. ჩვენ მხურვალედ ვულოცავდით გამარჯვებას თანაგუნდელს. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მიდლერმა მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იური მაინც ვერ ავიდა. რა მოხდა? მსაჯთა კოლეგიამ მოულოდნელად შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება, მიდლერის წაგება გააუქმა და ეს სპორტსმენები ხელახლა შეახვედრა ერთმანეთს. მიდლერმა ეს ბრძოლა მოიგო. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: არც მანამდე და არც მას შემდეგ მსაჯთა კოლეგიას დიდი შეჯიბრებების დროს გადაწყვეტილება არ შეუცვლია. სამწუხაროდ, სწორედ ამ იშვიათი შემთხვევის მსხვერპლი გახდა იური ოსიპოვი. მას ფაქტიურად მეორედ უნდა ებრძოლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის. ასე რომ, გადამწყვეტი შეხვედრის წინ მიდლერსა და ოსიპოვს თითოთითო წაგება ჰქონდათ. იური მეტოქესთან შედარებით ფსიქოლოგიურად განიარაღებული იყო. დაიკარგა ის ემოციური ტონუსი, რომელიც სპორტსმენს სტიმულს აძლევს ბრძოლაში გამარჯვებისთვის. მიდლერის ძალები კი გაათკეცდა, რადგანაც კვლავ მიეცა შესაძლებლობა უიმედოდ დაკარგული ჩემპიონობის მოპოვებისთვის. ბრძოლა მიდლერის გამარჯვებით დამთავრდა. ასეთმა შედეგმა ყველას გული დაგვწყვიტა. გამონაკლისი იყო თვით იური ოსიპოვი. იგი მეგობრულად გადაეხვია მიდლერს და გულწრფელად მიულოცა ჩემპიონის წოდება, რომლის ტარების ღირსი თვითონ უფრო იყო. ასეა თუ ისე, ესოდენ დიდ ტურნირში მეორე ადგილის მოპოვებაც იური ოსიპოვის უდავო წარმატება გახლდათ.



გ. კოსტავა.

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატში „დაიბადა“ ქართული ფარიკაობის კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. ამ მოფარიკავემ შემდეგში დაამშვენა მთელი საბჭოთა სპორტი. ავაზასავით მოქნილი, სხარტი და დაუდეგარი გურამ კოსტავა სპორტისთვის არის დაბადებული. გამხდარ, სუსტ ჭაბუკში უდიდესი ძალ-ღონე და საოცარი შემართებაა. იგი მიდლერის ანტიპოდია. ენერგიის დაზოგვა, მომჭირნეობა მისთვის არასდროს ყოფილა დამახასიათებელი. ხშირად შედარებით სუსტ მეტოქესთანაც კი ისეთი გამეტებით იბრძოდა, თითქოს ამაზე იყო დამოკიდებული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მას იზიდავს თვით ფარიკაობა, უცნობი მეტოქეები, ახმაურებული დარბაზები, სპორტული მოედნები. ამ ატმოსფეროში იგი ისეაა, როგორც თევზი წყალში. ცხოვრებაშიც და სპორტშიც იგი ბავშვივით მიმნდობი, უდარდელი, ცოტათი მიამიტი კაცის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს, მაგრამ ვინც კოსტავას ახლოს იცნობს, იცის, რომ ეს თანდაყოლილი კეთილშობილებიდან მომდინარეობს. გურამი ზოგიერთი სპორტსმენივით არასდროს იკადრებს „კულისებსიქითა დიპლომატიას“, რადგანაც ეს სუსტი ადამიანების ხვედრია. გურამ კოსტავას მთელი გარეგნობა, საქციელი, დამოკიდებულება მეტოქესთან, თითქოს ამბობს: „აი, მე ძლიერი ვარ, საკუთარ თავში დაჯერებული, მოდი, ვაჟკაცურად ვიბრძოლოთ, გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერია“.

სპორტის რომელი სახეობისთვისაც უნდა მოეკიდა გურამს ხელი, იგი გამოჩენილი ათლეტი იქნებოდა. ფარიკაობაში გურამი მოიყვანა მისმა ამაღლებულმა, რომანტიკულმა სულისკვეთებამ. შუა საუკუნეებში იგი ცნობილი რაინდი იქნებოდა. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ იგი იმ საუკუნეებიდან მოსული კაცია, ოღონდაც ჩვენსავით ასფალტზე დადის, ემორჩილება თანამედროვე ფარიკაობის კოდექსს და ბასრი მახვილი უწყინარი საფარიკაო დაშნით შეუცვლია. ეს პათეტიკური შეძახილი როდია. ამ დასკვნამდე მიმიყვანა ჩვენმა მრავალწლიანმა მეგობრობამ.

ფარიკაობის დარბაზის ტრიბუნიდან ძნელია შენიშნო სპორტსმენის ოსტატობის ზოგიერთი ნიუანსი. მით უმეტეს, რომ ბრძოლის პროცესი ფარიკაობაში წუთიერია. სპორტსმენის უკეთ გასაცნობად ვერაფერი შეედრება მასთან უშუალო შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საფარიკაო იარაღები დიამეტრულად საწინააღმდეგოა, მე მაინც მიბრძოლია გურამთან... საწვრთნელ მეცადინეობაზე. დაშნით მოფარიკავე ესპადრონისტის წინააღმდეგ! ეს უნიკალური შემთხვევაა, მაგრამ გურამს ესეც შეუძლია, თუმცა რა არ შეუძლია მას.

კოსტავას უბადლო ოსტატობას კარგად იცნობენ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. მას დამარცხებული ჰყავს ყველა გამოჩენილი დაშნით მოფარიკავე, მათ შორის იტალიელი დელფინო, ინგლისელი ჰოსკინსი, უნგრელი ნემერე, აგრეთვე, საბჭოთა სპორტსმენები: გრიგოლ კრისი, ბრუნო ხაბაროვი, ალექსანდრე ნიკანჩიკოვი, არნოლდ ჩერნუშევიჩი და სხვები. სად, რომელ შეჯიბრებაში არ გამოსულა იგი: საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო თუ მსოფლიო ჩემპიონატებში. ვინ მოთვლის, რამდენი გადამწყვეტი შეხვედრა მოუგია საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში.

გაოცებას იწვევს მსოფლიო ჩემპიონატებში გურამ კოსტავას შედეგების სტაბილურობა: იგი ზედიზედ სამჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეთა ტურნირების მესამე პრიზიორი. ასეთი შედეგით მსოფლიოს ბევრი დაშნით მოფარიკავე ვერ დაიქადნის.

მაშინ კი, ვოროშილოვგრადში, სპეციალისტებმა პირველად მიაქციეს ყურადღება საბჭოთა ფარიკაობის ამომავალ ვარსკვლავს. თუმცა გურამს საპრიზო ადგილი არ მოუპოვებია, მაგრამ მწვრთნელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფინალში მის მიერ ჩატარებულმა ბრძოლებმა. ოცი წლის ქართველი მუშკეტერი უყოყმანოდ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატმა ქართულ ფარიკაობას მისცა ზედმიწევნით ორიგინალური სპორტსმენი მურმან ასათიანი. იგი დაიბადა და გაიზარდა დიდი საფარიკაო ტრადიციების ქალაქ ქუთაისში. არც ამ ნიჭიერ სპორტსმენს დაუკავებია ვოროშილოვგრადში საპრიზო ადგილი, მაგრამ ჩინებულად იბრძოდა ფინალში. მომდევნო წელს მურმანმა იასპარეზა ვარშავაში გამართულ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატშიც.

როგორც ვთქვი, ვოროშილოვგრადის ჩემპიონატი კარგად დაებედა ქართველ მოფარიკავეებს. სპორტის ეს სახეობა მთელი ბრწყინვალებით წარსდგა სპეციალისტთა და მაყურებელთა წინაშე. ამაში ღირსეული წვლილი შეიტანა მაშინ სავსებით ახალგაზრდა ესპადრონისტმა მორის სახვაძემ. ქერათმიანმა ჭაბუკმა ესპადრონისტთა რამდენიმე პრინციპული შეხვედრა მოიგო, პირველად ქართველ ესპადრონისტთაგან მან გაიკვლია გზა ფინალში და სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მოიპოვა. ეს იყო მისი საინტერესო სპორტული გზის დასაწყისი.

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ქართული ფარიკაობა თამამად გამოვიდა დიდ სარბიელზე. ახლა მას თავისი ძალა უნდა მოესინჯა საერთაშორისო ასპარეზზედ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტი ყურადღება ბავშვთა ტანვარჯიშს!

ამ დღეებში თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ტანვარჯიშის სკოლის დარბაზში გაიმართა საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური პირველობა.

ასპარეზობის მიზანი იყო მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადისთვის ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატების შერჩევა.

შეჯიბრებამ გამოავლინა, რომ რესპუბლიკის სპორტულ სკოლებში ტანვარჯიშის განვითარების დონე მეტად დაბალია. სპორტული ტანვარჯიშის თანამედროვე მოთხოვნებს მხოლოდ ამ ასპარეზობაში გამარჯვებული კოლექტივის — თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლისა და სპორტსაზოგადოება „განთიადის" აღსაზრდელთა მაჩვენებლები პასუხობენ.

ჭაბუკთა ასპარეზობაში სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით გამართული შეჯიბრება, ვინაიდან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები სწორედ ამ თანრიგით გამოვა. ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში პირველ ექვს ადგილზე გასულმა ჭაბუკებმა (სულ ასპარეზობდა 15 სპორტსმენი) თავი გამოიჩინეს ბჯენით ხტომაში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სავალდებულო პროგრამით—9,3, ნებისმიერი პროგრამით კი 9,15 ქულა იყო. სამაგიეროდ, ჭაბუკებმა ძალიან სუსტი მომზადება გვიჩვენეს ტაიჭზე და თავისუფალ ვარჯიშში. საპრიზო ადგილები განთიადელებმა დაიკავეს. გაიმარჯვა ა. ცინცაძემ — 110,0. II იყო გ. რაჭველიშვილი — 109,4 (თბილისის განათლების განყოფილება), III — გ. იმედაშვილი — 108,95.

გაგვახარეს სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონებმა. მართალია, სარბიელზე არ გამოსულან ნ. დრონოვა, მ. ფხაკაძე და ს. ღუდა (სამივე „განთიადი"), მაგრამ ამით შეჯიბრებისადმი ინტერესი არ შენელებულა.

კარგად აიღო სტარტი განთიადელმა ვ. ვასილიევამ, რომელმაც სავალდებულო პროგრამით თავისუფალ ვარჯიშში 9,35 ქულა დაიმსახურა. საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გოგონათა შორის ი. მუზაშვილი (თბილისის განათლების განყოფილება) ამ შეჯიბრებაში პირველად ცდიდა ძალას სპორტის ოსტატ გოგონათა შორის და შეჯიბრების დასაწყისშივე კვალში ჩაუდგა ლიდერს — 9,05. ქალთა შორის საქართველოს პირველობის მეორე პრიზიორი მ. მონიავა (თბილისის განათლების განყოფილება) ორძელზე ვარჯიშის დროს იარაღს მოსწყდა და დაბალი შეფასება მიიღო, რისთვისაც VII ადგილზე გადაინაცვლა. როცა სავალდებულო ვარჯიშები დამთავრდა, კვლავ ვასილიევა ლიდერობდა — 36,8. ქუთაისელი დ. კანთელაძე II ადგილზე იყო — 36,25. შემდეგ მოდიოდნენ მუზაშვილი — 36,15, ე. მარეხაშვილი, მონიავა — 35,85-35,85, ქ. კობერიძე, მ. ფაშალიშვილი, — 35,55-35,55 (ყველა თბილისის განათლების განყოფილება).

ნებისმიერი პროგრამის შესრულებისას ყველაზე რთული, გემოვნებით შერჩეული ილეთები გვაჩვენეს ვასილიევამ, მუზაშვილმა და განსაკუთრებით მონიავამ, რომელსაც დაკარგულის ანაზღაურება სურდა. ვასილიევამ მაღალი შეფასება დაიმსახურა დვირზე — 9,3, ხტომებში — 9,35. ორძელზე დაშვებულმა შეცდომამ (8,5) კოთხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი გამარჯვება, მაგრამ თავისუფალ ვარჯიშში 9,5 ქულამ საბოლოოდ I ადგილი არგუნა. მონიავამ ნებისმიერი პროგრამით მიიღო: ორძელზე — 9,45, დვირზე — 9,3, ხტომებში — 9,45, თავისუფალ ვარჯიშში — 9,5 ქულა, სულ 73,55 ქულა დააგროვა და როგორც მოზრდილთა რესპუბლიკურ პირველობაში, თანატოლებშიც II ადგილი დაიკავა. III ადგილი 73,3 ქულით მუზაშვილმა დაისაკუთრა. იამ მხოლოდ დვირზე სავალდებულო პროგრამით მიიღო 9 ქულაზე ნაკლები შეფასება (8,95), ხოლო ნებისმიერი პროგრამის შესრულებისას ოთხივე იარაღზე 37,15 ქულა დააგროვა და ასპარეზობის ჩემპიონსაც გაუსწრო. მუზაშვილის (მწვრთნელი ე. გაგოშიძე) სახით რესპუბლიკას პერსპექტიული ტანმოვარჯიშე ეზრდება.

რესპუბლიკური პირველობის პარალელურად გაიმართა ამხანაგური სამატჩო შეხვედრა საქართველოსა და უზბეკეთის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს შორის, სადაც ჩვენმა ჭაბუკებმა და გოგონებმა აჯობეს სტუმრებს.

**ი. იუნაევი.**

მოგვყავს შეჯიბრების ტექნიკური შედეგები.

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისის განათლების განყოფილება — 959,655 ქულა, 2. ქუთაისი — 866,934. 3. „დინამო" — 825,739 (სპორტსაზოგადოება „განთიადი" გუნდურ ჩათვლაში არ მონაწილეობდა).

**II ჯგუფი.** 1. ცხინვალი—491,303, 2. გარდაბანი — 461,956, 3. ლანჩხუთი — 425,8.

**პირადი. ჭაბუკები. მოზრდილთა I თანრიგი.** 1. ე. ჯაიანი — 104,75, 2. ვ. გიორგაძე (ორივე — „ლოკომოტივი") — 103,65, 3. თ. ჭეიშვილი — ქუთაისი — 100,4; **მოზრდილთა II თანრიგი.** 1. ვ. აბრამიშვილი — 108,95, 2. მ. ჯინჭარაძე — 107,2 (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება), 3. თ. გოგინაშვილი („დინამო") — 105,95.

**გოგონები. სპორტის ოსტატობის კანდიდატები.** 1. მ. კობერიძე — 71,25, 2. გ. გუგულაშვილი — 68,55, 3. ლ. კილასონია — 68,2 (სამივე — თბილისის განათლების განყოფილება). **მოზრდილთა I თანრიგი.** 1. რ. ხარატიშვილი—67,3, 2. ი. სვანიძე — 65,35 (ორივე — ქუთაისი), 3. გ. მეფისაშვილი („დინამო") — 60,7. **მოზრდილთა II თანრიგი.** 1. ნ. ჩოგოვაძე — 68,75, 2. მ. ბრეგაძე — 67,95, 3. მ. კუბლაშვილი — 66,45 (სამივე — ქუთაისი).

• • •

**სურათებზე:** მ. მონიავა (მარცხნივ) და ი. მუზაშვილი.

ავტორის ფოტო.





## ნ. მ. ნიკოლაიშვილი



ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ვეტერანი, ნორჩ სპორტსმენთა დიდი მეგობარი და ქომაგი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ (ედუა) მინას ძე ნიკოლაიშვილი.

ქართული ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოს" მარცხენა მცველი ნ. ნიკოლაიშვილი, რომელმაც თავისი ამაგი შეიტანა ჩვენი გუნდის დავაჟკაცებისა და დიდ სპორტულ ასპარეზზე გამოსვლის საქმეში, იგი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც მწვანე მინდორზე იბრძოდა სსრ კავშირის ჩემპიონატების გარიჟრაჟზე, 1936 წელს, როცა დასაბამი მიეცა საკავშირო ჩემპიონატებს საკლუბო გუნდებისთვის და თბილისის „დინამოს" მძიმე ბრძოლებში მოუხდა გზის გაკაფვა სამამულო ფეხბურთის მწვერვალებისკენ.

ნ. ნიკოლაიშვილი დაიბადა 1909 წელს ქ. ფოთში. ბავშვობიდან ეზიარა იგი აქ ფეხბურთს, ტოლბიჭებთან ერთად თავისუფალ დროს მთლიანად ბურთის თამაშს უთმობდა, უკვე 12 წლის ასაკში მუდმივი მონაწილე იყო იქაურ სტადიონებზე გამართული იმპროვიზებული მატჩებისა, ხოლო შემდეგ, უკვე მოგვიანებით, იმ გუნდებში თამაშობდა, რომლებიც ებრძოდნენ ფოთში ჩამოსული უცხოური, ძირითადად ინგლისური გემების გუნდებს და ხშირად წარმატებასაც აღწევდნენ.

ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო ნ. ნიკოლაიშვილი, როცა ფოთის ნაკრების ძირითადი წევრი გახდა. 1927 წელს ეს გუნდი თბილისში ჩამოვიდა „დინამოსთან" სათამაშოდ. ფოთელთა მცველმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა აზრიანი, ენერგიული, ტექნიკური თამაშით და მიწვევაც მიიღო დინამოელთა კოლექტივში.

ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ნ. ნიკოლაიშვილი 1930 წელს ხასწავლებლად გადმოვიდა თბილისში, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე, ხოლო თამაში დაიწყო იმდროინდელ ერთ ერთ უძლიერეს გუნდში — „მეტალისტში".

1936 წლის გაზაფხულიდან ნ. ნიკოლაიშვილი რამდენიმე წლის მანძილზე თბილისის „დინამოში" გამოდიოდა მარცხენა მცველის პოსტზე, გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, დიდი სისწრაფით, კორექტულობით, მინდვრის კარგი ხედვით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნ. ნიკოლაიშვილმა ასპირანტურაში განაგრძო სწავლა, 1940 წელს დაიცვა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, შემდეგ მუშაობდა მსუბუქი ლითონების შესწავლისა და მიღების დარგში, 45-მდე საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი შექმნა. ბოლო წლებში მუშაობდა კავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მსუბუქი ლითონების ტექნოლოგიის ლაბორატორიის გამგედ, იყო ბევრი რაციონალიზატორული გამოგონების ავტორი.

ნ. ნიკოლაიშვილი ფეხბურთის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და ენთუზიასტი იყო. მისი პირადი ინიციატივით საბურთალოს მასივში შეიქმნა სპორტული ბაზა, სადაც ბავშვთა მრავალრიცხოვან გუნდებს ავარჯიშებდა და ათამაშებდა ყველასთვის საყვარელი ძია ედუა. სხვათა შორის, ნ. ნიკოლაიშვილმა სიახლე ფეხბურთშიც შეიტანა: მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა დასაკიდებელი ბურთების საინტერესო კონსტრუქცია და ორიგინალური ავტომატური დანადგარი, რომელიც ნორჩ ფეხბურთელებს ხელს უწყობს ტექნიკის ათვისებასა და სრულყოფაში.

ნ. ნიკოლაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის საფეხბურთო ცხოვრებაში, აწყობდა მრავალგვარ ტურნირებს, წლების მანძილზე იყო საქალაქო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ქართული ფეხბურთის ვეტერანის კეთილი სახე, მისი საზოგადოებრივი საქმიანობა არასოდეს დაავიწყდებათ მათ, ვისაც კი ოდესმე ჰქონია მასთან საქმე.

**საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები, ვეტერანი ფეხბურთელები.**

## მოკლე ამბები

● მოსკოვი, 11 იანვარი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ მოსკოვის „სპარტაკის" ჰოკეისტები, რომლებმაც დაამარცხეს კალინინის ასკ — 8:7.

● რიგა, 11 იანვარი. ჰოკეისტთა აქ შემდგარ მატჩში სსრ კავშირის თასის კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. ადგილობრივმა „დინამომ" დაამარცხა მოსკოვის „კრილია სოვეტოვი" — 7:1.

## ფეხბურთელთა „როდ ლეივერი"

ასე უწოდებენ „ბაიერნის" (მიუნხენი) ცნობილ ნახევარმცველს ფ. ბეკენბაუერს. იგი ბრწყინვალედ თამაშობს ჩოგბურთს და ამიტომაც ადარებენ მას ამ გამოჩენილ ვარსკვლავს. ბეკენბაუერი მრავალმხრივი სპორტსმენია, რაც მას საშუალებას აძლევს დიდი დატვირთვით ითამაშოს ყოველ მატჩში.

## ისევ კუბალა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს ე. კუბალას, ევროპის ჩემპიონატში მარცხის მიუხედავად, რწმუნებები გაუგრძელდა 1974 წლის ზოლომდე, ე. ი. მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე.

## ყველა რეკორდი გოულდს ეკუთვნის

ახლა ავსტრალიაში შუა საზაფხულო სპორტული სეზონია. მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადებისას ბუნების ამ სიკეთეს მაქსიმალურად იყენებენ, თითქმის ყოველ კვირას ეწყობა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები ცურვასა და მძლეოსნობაში. ამ ტურნირებში ქვეყნის ნაკრების კანდიდატებს არჩევენ.

სიდნეიში მოცურავეთა ერთ-ერთ უკანასკნელ შეჯიბრებაში სპორტსმენებმა კარგი შედეგები აჩვენეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 წლის გოგონას შეინ გოულდის წარმატება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში. აქამდე ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდს ორი ავტორი ჰყავდა: გოულდის თანამემამულე დ. ფრეიზერი (რეკორდი 1964 წელს დამყარდა) და გოულდი, რეკორდის (58,9) თანაავტორი.

ახლა გოულდმა ეს დისტანცია 58,5 წამში გაცურა და მსოფლიო რეკორდების ცხრილში ადგილი მარტო დაისაკუთრა. გოულდის ეს მიღწევა 1972 წელს პირველი მსოფლიო რეკორდია. ახლა ავსტრალიელ სპორტსმენს ეკუთვნის ყველა მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში.

გოულდმა 200 მეტრზე ცურვაშიც იასპარეზა. მართალია, აქ მან პირველობა მოიგო, მაგრამ თავისი მსოფლიო რეკორდზე (2.06,5) 4,6 წამით უარესი შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ, შეინმა მისთვის უჩვეულო ამპლუაშიც იმარჯვა — 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (1.07,5) ამ სახეობის სპეციალისტს ჯოლისს 2,1 წამი მოუგო.

ვაჟთა შედეგებიდან აღსანიშნავია როჯერსის მაჩვენებლები — 100 მეტრზე თავისუფალი და ბატერფლაის სტილით ცურვაში 55,0 და 58,3 შესაბამისად.

## ესპანეთის ფეხბურთის ამბები

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6 უე 04419